



ELIZBAR ERISTAVI
ENERGY TRAINING CENTER

unicef 
for every child

ანგარიში

პროექტის „განახლებადი ენერჯის როლი კლიმატის ცვლილებისა და ჰაერის დაბინძურების პრობლემების გადაჭრაში“ შედეგები.

პროექტის განხორციელების არეალი: სამეგრელო-ზემო სვანეთის, გურიის და იმერეთის რეგიონები.

REPORT

RESULTS OF THE PROJECT "ROLE OF RENEWABLE ENERGY IN TACKLING THE PROBLEMS OF CLIMATE CHANGE AND AIR POLLUTION"

PROJECT IMPLEMENTATION AREA: SAMEGRELO - ZEMO SVANETI, GURIA AND IMERETI REGIONS.

ანგარიში

პროექტის „განახლებადი ენერჯის როლი კლიმატის ცვლილებისა და ჰაერის დაბინძურების პრობლემების გადაჭრაში“ შედეგები

პროექტის განხორციელების არეალი: სამეგრელო-ზემო სვანეთის, გურიის და იმერეთის რეგიონები.

REPORT

RESULTS OF THE PROJECT “ROLE OF RENEWABLE ENERGY IN TACKLING THE PROBLEMS OF CLIMATE CHANGE AND AIR POLLUTION”

PROJECT IMPLEMENTATION AREA: SAMEGRELO - ZEMO SVANETI, GURIA AND IMERETI REGIONS.

ანგარიში მომზადდა პროექტის „განახლებადი ენერჯის როლი კლიმატის ცვლილებისა და ჰაერის დაბინძურების პრობლემების გადაჭრაში“ ფარგლებში.

პროექტი განხორციელდა საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიასთან არსებული ელიზბარ ერისთავის სახელობის ენერჯეტიკის სასწავლო ცენტრის (შემდგომში – ენერჯეტიკის სასწავლო ცენტრი) მიერ, გაეროს ბავშვთა ფონდის მხარდაჭერითა და პარტნიორობით 2024 წელს.

ანგარიში შესაძლოა არ გამოხატავდეს გაეროს ბავშვთა ფონდის პოზიციას. გამომდინარე აქედან, გაეროს ბავშვთა ფონდი არ არის პასუხისმგებელი დოკუმენტის შინაარსზე.

დოკუმენტზე მუშაობდნენ:

მარიამ იოსელიანი
ქეთევან ბერიკაშვილი
თორნიკე აფრიაშვილი

თემურ თორდინავა
ნუგზარ ბერიძე
ირაკლი გორდულაძე

ელეონორა ლაგვილავა
სალომე ჯანელიძე
ქრისტინე ჯანაშია

The report was prepared within the framework of the project “Role of Renewable Energy in Tackling the Problems of Climate Change and Air Pollution”.

The project was implemented by the Elizbar Eristavi Energy Training Center (hereinafter “Energy Training Center”) existing under the Georgian National Energy and Water Supply Regulatory Commission, with the support and partnership of the United Nations Children’s Fund (UNICEF) in 2024.

The report may not reflect the position of the United Nations Children’s Fund. Accordingly, UNICEF is not responsible for the content of the document.

The document was prepared by:

Mariam Ioseliani
Ketevan Berikashvili
Tornike Afriashvili

Temur Tordinava
Nugzar Beridze
Irakli Gorduladze

Eleonora Lagvilava
Salome Janelidze
Kristine Janashia

გამომცემლობა „უნივერსალი“ 2024
Publishing House „Universal“ 2024

ISBN 978-9941-33-888-5

შინაარსი

1. პროექტის მნიშვნელობა და შედეგი
2. ენერგეტიკის სასწავლო ცენტრის შესახებ
3. გაეროს ბავშვთა ფონდის შესახებ
4. პროექტის შესახებ
5. პროექტის ფარგლებში განხორციელებული საინფორმაციო შეხვედრები და ტრენინგის მეთოდოლოგია
6. ტრენინგ-კურსის კმაყოფილების დონისა და ტრენინგის პროცესის შეფასების შესახებ გამოკითხვის შედეგები
7. ძირითადი დასკვნები
8. შეფასებები

CONTENTS

- 1.Importance and result of the project
2. About the Energy Training Center
3. About UNICEF
4. About project
5. Information meetings and training methodology implemented within the project
6. The survey results on participants' satisfaction with the training course and their evaluation of the training process
7. Main conclusions
8. Evaluations

1. პროექტის მნიშვნელობა და შედეგი

პროექტი „განახლებადი ენერჯის როლი კლიმატის ცვლილებისა და ჰაერის დაბინძურების პრობლემების გადაჭრაში“ (შემდგომში – პროექტი) პროგრესული და წარმატებული საგანმანათლებლო ინიციატივის მაგალითია რეგიონებში მცხოვრები მოზარდებისთვის.

პროექტით გათვალისწინებულ აქტივობებში, ტრენინგებსა და საჯარო ლექციებში, ჩართული იყო სამეგრელო-ზემო სვანეთის, იმერეთისა და გურიის რეგიონების 500-მდე მოსწავლე 38 სხვადასხვა საჯარო და კერძო სკოლიდან, რაც მიაწინებს პროექტის მიმართ მაღალ ინტერესსა და ფართო მასშტაბებზე.

ენერგეტიკის სასწავლო ცენტრისა და გაეროს ბავშვთა ფონდის ერთობლივმა ინიციატივამ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა მოსწავლე-ახალგაზრდობის ცნობიერების ამაღლებაში. განსაკუთრებით კლიმატის ცვლილებით და ჰაერის დაბინძურებით გამოწვეული გავლენის შესამცირებლად.

პროექტის აქტივობებმა ხელი შეუწყო მოზარდების ხედვის ჩამოყალიბებას იმასთან დაკავშირებით, რომ განახლებად ენერჯიაზე გადასვლა არა მხოლოდ პასუხია გლობალურ ენერგეტიკულ მოთხოვნაზე, არამედ გადამწყვეტი სტრატეგიაა კლიმატის ცვლილებით გამოწვეული ემისიების და ჰაერის დაბინძურების შესამცირებლად.

ენერგეტიკის სასწავლო ცენტრი მიიჩნევს, რომ პროექტმა წარმატებით ჩართო და გაააქტიურა ახალგაზრდები რეგიონებში. საქართველოს სხვა რეგიონებში ბავშვებისა და მოზარდებისთვის მსგავსი ინიციატივების განხორციელება უზრუნველყოფს პროექტის მდგრადობას და შექმნის გამავრცელებელ ეფექტს, რომელიც ბევრ ახალგაზრდას ჩართავს კლიმატის ცვლილებისა და ჰაერის დაბინძურების შედეგების შერბილებაში.

2. ენერგეტიკის სასწავლო ცენტრის შესახებ

ენერგეტიკის სასწავლო ცენტრი დაფუძნდა 2022 წლის 4 თებერვალს. ენერგეტიკის სასწავლო ცენტრის დამფუძნებელია საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია.

ენერგეტიკის სასწავლო ცენტრის მიზანია ელექტროენერგეტიკის, ბუნებრივი გაზის, წყალმომარაგებისა და მელიორაციის სექტორების აქტუალურ საკითხებზე საზოგადოების ცნობიერების ამაღლება, პროფესიული განვითარებისა და კვალიფიკაციის ამაღლებისთვის სპეციალური სასწავლო კურსების/პროგრამების განხორციელება, ქალთა ჩართულობის ზრდა ენერგეტიკის სექტორში, სკოლის მოსწავლეებისთვის საგანმანათლებლო პროექტების განხორციელება და სხვა. ენერგეტიკის სასწავლო ცენტრი ფოკუსირებულია სხვადასხვა პროექტის განხორციელებით ეფექტიანი შედეგების მიღებაზე ენერგეტიკასა და წყალმომარაგებასთან დაკავშირებული საკითხების მიმართულებით.

3. გაეროს ბავშვთა ფონდის შესახებ

გაეროს ბავშვთა ფონდი 70 წელზე მეტია მუშაობს მსოფლიოს ყველაზე რთულ რეგიონებში, რათა დაეხმაროს მსოფლიოს ყველაზე მოწყვლად ბავშვებს. 190-ზე მეტ ქვეყანასა და ტერიტორიულ ერთეულში, ფონდი მუშაობს ყოველი ბავშვისთვის ყველგან, რათა ააშენოს უკეთესი მსოფლიო ყველასთვის. იუნისეფი 30 წელია ეხმარება საქართველოს მთავრობას ბავშვთა უფლებების დაცვასა და ბავშვის უფლებათა კონვენციით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაში. მისი მიზანია, დაეხმაროს ყველაზე დაუცველ ბავშვებს, ხელი შეუწყოს მათ გაძლიერებასა და სოციალურ ინკლუზიას, შეამციროს უთანასწორობა, რაც უარყოფითად ზემოქმედებს ბავშვებსა და მათ ოჯახებზე.

4. პროექტის შესახებ

გაეროს ბავშვთა ფონდის მხარდაჭერით, ენერჯეტიკის სასწავლო ცენტრმა პროექტი საქართველოს 3 რეგიონში განახორციელა: სამეგრელო-ზემო სვანეთის, იმერეთისა და გურიის რეგიონებში.

პროექტის მიზანს წარმოადგენდა:

- სამეგრელო-ზემო-სვანეთის, გურიისა და იმერეთის რეგიონების მუნიციპალიტეტების შერჩეულ სკოლებში მოსწავლე-ახალგაზრდობის ცნობიერების ამაღლება განახლებადი ენერჯიების როლის შესახებ კლიმატის ცვლილებისა და ჰაერის დაბინძურების პრობლემების გადაჭრაში.
- სამიზნე მუნიციპალიტეტებში მოსწავლე-ახალგაზრდობის ინტერესის გაღვივება აღნიშნული საკითხების მიმართ, ქვეყნის განახლებადი რესურსებისა და კლიმატის მიმართ ზრუნვის ჩამოყალიბება, მდგრადი მექანიზმების შექმნის ხელშეწყობა, მომავალსა და კეთილდღეობაზე გადაწყვეტილების მიღების პროცესებში მოსწავლე-ახალგაზრდობის ჩართულობის გაზრდა და გაძლიერება.

ინიციატივის შედეგად 500-მდე ახალგაზრდამ 38 სხვადასხვა სკოლიდან მიიღო ინფორმაცია განახლებადი ენერჯის მნიშვნელობაზე, კლიმატის ცვლილებისა და ჰაერის დაბინძურების პრობლემების გადაჭრაზე.

5. პროექტის ფარგლებში განხორციელებული საინფორმაციო შეხვედრები და ტრენინგის მეთოდოლოგია

პროექტის საწყის ეტაპზე განხორციელდა საინფორმაციო შეხვედრები სამიზნე რეგიონებში. შეხვედრის მონაწილეებს მიეწოდათ ინფორმაცია პროექტის მიზნების, ამოცანებისა და დაგეგმილი ღონისძიებების, ასევე ენერგეტიკის სასწავლო ცენტრისა და გაეროს ბავშვთა ფონდის შესახებ.

ამავდროულად, აღნიშნული შეხვედრების მიზანი იყო ენერგეტიკის სასწავლო ცენტრის მიერ გათვალისწინებულ აქტივობებში მხარდაჭერისა და პარტნიორობის უზრუნველყოფა. მათ შორის დაგეგმილი ტრენინგების ორგანიზება, ტრენინგის მონაწილეთა მობილიზება და სხვა ტექნიკური საკითხების გადაჭრა. შეხვედრებში საგანმანათლებლო რესურსცენტრებისა და სკოლების დირექტორები მონაწილეობდნენ.

პროექტის შემდგომ ეტაპზე პროექტის გუნდის მიერ, მეთოდოლოგიის შესაბამისად, შემუშავდა ტრენინგ-კურსის მოდული და ტრენინგების ჩატარების დეტალური გეგმა-გრაფიკი. თითოეული მოდულის შემთხვევაში განისაზღვრა თემები და საკითხები, რომელთა შესახებაც ჩატარდებოდა ტრენინგები სამიზნე რეგიონებში.

ტრენინგების განხორციელების მეთოდოლოგია დაეფუძნა შემდეგ ძირითად პრინციპებს:

- ტრენინგთა გამოცდილება;
- ტრენინგების მასალების მაღალი ხარისხი, პრაქტიკულობა და გამოყენებადობა;
- პროცესის ინტერაქტიულობა;
- დროის ეფექტური მართვა.

ტრენინგის მიზანი იყო მონაწილეებისთვის აუცილებელი ცოდნის, გამოცდილებისა და მიდგომების მიწოდება და მათი კვალიფიკაციისა და უნარების ამაღლება. ტრენინგის დროს აქცენტი გაკეთდა მსმენელთა ცნობიერების ამაღლებაზე და მიღებული ცოდნის პრაქტიკული გამოყენების უზრუნველყოფაზე.

ტრენინგზე გამოყენებულ იქნა სხვადასხვა მეთოდოლოგია და ინსტრუმენტები: მათ შორის პრეზენტაციები, ჯგუფური და ინდივიდუალური დავალებები და სამუშაოები, ქეისების განხილვა, პრაქტიკული მაგალითები, თემებთან დაკავშირებული კითხვები და დისკუსიები, როლური თამაშები, ფასილიტაცია და უკუკავშირი.

ტრენინგ-კურსის მოდულში გათვალისწინებული იყო შემდეგი საკითხები:

- **დროის მონაკვეთი:** თითოეული მოდულისათვის გათვალისწინებული იყო დრო;
- **ტრენინგის თემები და აქტივობები:** თითოეული მოდული მოიცავდა კონკრეტულ თემებსა და აქტივობებს;
- **მეთოდოლოგია:** განისაზღვრა თითოეული მოდულის შესაბამისი მეთოდოლოგიები და ინსტრუმენტები;
- **დავალებები:** თითოეულ მოდულს გააჩნდა ტრენინგის მსვლელობისას განსახორციელებელი სავარჯიშოები/დავალებები;
- **ინსტრუქციები:** ტრენინგის მსვლელობისას დავალებების კომპონენტის ჩათვლით მონაწილეებს მიეწოდებოდა ზეპირი და წერილობითი ინსტრუქციები ტრენინგების მხრიდან;
- **ტრენინგის მსვლელობა:** თითოეული მოდულისათვის უზრუნველყოფილი იყო პროცესის მაქსიმალური ინტერაქტიულობა;
- **ტრენინგის მასალები:** ტრენინგ-კურსის მასალების ელექტრონული ვერსიები გაეგზავნათ მონაწილეებს ელექტრონული ფოსტის საშუალებით.

ტრენინგ-კურსის დასრულების შემდეგ მონაწილე მოსწავლე-ახალგაზრდებს გადაეცათ ორენოვანი სერტიფიკატები.

ტრენინგების და საჯარო ლექციების ჯამურმა მოცულობამ შეადგინა 72 საათი.

ტრენინგებზე განხილულ იქნა შემდეგი საკითხები: კლიმატის ცვლილება და მისი გამომწვევი მიზეზები, სათბური გაზების შემცირების საშუალებები, წიაღისეული საწვავის ელექტროსადგურების როლი ჰაერის დაბინძურებაში, განახლებადი ენერჯის წყაროების გავლენა გარემოზე, ეკოლოგიური უსაფრთხოება ელექტროენერჯის გადაცემის დროს, ელექტროენერჯის მომხმარებლების გავლენა გარემოზე, ენერგოეფექტურობის როლი ემისიების შემცირებაში, გლობალური კლიმატის ცვლილების შერბილების პრაქტიკა, ენერგეტიკული უსაფრთხოება, განახლებადი ენერჯია და გარემოს დაცვა და გლობალიზაციის როლი ენერგეტიკულ უსაფრთხოებაში.

6. გამოკითხვის შედეგები მონაწილეთა კმაყოფილება ტრენინგის კურსით და მათ მიერ სასწავლო პროცესის შეფასება


სასწავლო კურსით და სასწავლო პროცესით კმაყოფილების დონის შესაფასებლად ჩატარდა გამოკითხვა რაოდენობრივი მეთოდით. რაოდენობრივი კვლევის ფარგლებში მონაწილეობდნენ 14-დან 17 წლამდე ასაკის მოსწავლეები ქ. ზუგდიდიდან, ქ. ქუთაისიდან და ქ. ოზურგეთიდან.

რაოდენობრივი კვლევის ძირითად მეთოდს წარმოადგენდა გამოკითხვა, რომლის ძირითადი ინსტრუმენტი იყო სტანდარტიზებული კითხვარი. რაოდენობრივი მონაცემების შესაგროვებლად გამოყენებულ იქნა ონლაინ გამოკითხვის ინსტრუმენტი Google Forms. ზოგიერთ კითხვებზე რესპონდენტებს შესაძლებლობა ჰქონდათ გაეკეთებინათ შეფასება 5-ბალიანი სკალის გამოყენებით, სადაც 1 ნიშნავს ყველაზე დაბალ შეფასებას, ხოლო 5 – ყველაზე მაღალ შეფასებას.


ჯამში, გამოკითხვაში 140-მდე რესპონდენტმა მიიღო მონაწილეობა. სქესის მიხედვით, კვლევაში მონაწილე რესპონდენტები ასე გადანაწილდნენ: 57% – გოგონები და 43% – ბიჭები. გამოკითხული მოსწავლეებიდან 93% საჯარო სკოლის მოსწავლეა, ხოლო 7% კერძო სკოლის მოსწავლე. რესპონდენტთა მონაწილეობა გამოკითხვაში, მათი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, ნაჩვენებია ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე:




შეკითხვაზე, თუ რამდენად არიან რესპონდენტები კმაყოფილი ჩატარებული ტრენინგ-კურსით, შედეგების მიხედვით, რესპონდენტების 98% მაღალ კმაყოფილებას გამოხატავს. აღნიშნული მაჩვენებლით იკვეთება პროექტის ფარგლებში განხორციელებული აქტივობების მაღალი ეფექტიანობა:




რესპონდენტების უმრავლესობისთვის, კერძოდ, 90%-ისთვის ტრენინგებზე განხილული საკითხები წარმოადგენს სიახლეს, რაც ადასტურებს იმას, რომ ტრენინგ-კურსისთვის შერჩეული თემები რელევანტური იყო მსმენელთათვის.



შეკითხვაზე, რამდენად კარგად იყო ორგანიზებული ტრენინგები, გამოკითხულთა 96%-მა გამოთქვა მაღალი კმაყოფილება, რაც ნაჩვენებია მოცემულ დიაგრამაზე:




გამოკითხულთა უმეტესობა, კერძოდ, 97% უმაღლეს შეფასებას აძლევს ტრენერების კვალიფიკაციას, რაც აჩვენებს მაღალკვალიფიციური ტრენერების გუნდის სწორად შერჩევას:



გამოკითხვაში მონაწილეთა აბსოლუტურმა უმრავლესობამ მაღალი შეფასება მისცა სასწავლო კურსის ორგანიზებას. ეს მიუთითებს პროექტის აქტივობების ეფექტურ დაგეგმვასა და პროცესის კარგად ორგანიზებულ განხორციელებაზე ენერჯეტიკის სასწავლო ცენტრის გუნდის მხრიდან.

ყველა რესპონდენტი რეკომენდაციას უწევს აღნიშნული ტრენინგ-კურსის ჩატარებას საქართველოს სხვა რეგიონებსა და სკოლებში, რაც ხაზს უსვამს პროექტის აქტუალობას:



7.

ძირითადი დასკვნები

- რესპონდენტთა კმაყოფილების მაღალი მაჩვენებელი მიანიშნებს პროექტის ფარგლებში განხორციელებული აქტივობების ეფექტიანობაზე. აღნიშნული წარმოაჩენს პროექტის დროულობასა და რელევანტურობას;
- პროექტის მნიშვნელოვანი შედეგია მოზარდების ხედვის ჩამოყალიბების ხელშეწყობა, რომ განახლებად ენერჯიაზე გადასვლა არა მხოლოდ პასუხია გლობალურ ენერგეტიკულ მოთხოვნაზე, არამედ გადამწყვეტი სტრატეგიაა კლიმატის ცვლილებით გამოწვეული ნეგატიური შედეგებისა და ჰაერის დაბინძურების შესამცირებლად.
- პროექტის შეფასებებიდან ნათლად ჩანს, რომ ენერგეტიკის სასწავლო ცენტრისა და გაეროს ბავშვთა ფონდის ერთობლივი ინიციატივით განხორციელებულმა აქტივობებმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშა მოსწავლე-ახალგაზრდობის ცნობიერების ამაღლებაში. რესპონდენტთა მხრიდან პროექტის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებები და აქტივობები შეფასდა, როგორც მნიშვნელოვანი და საჭირო ინიციატივა მოსწავლე-ახალგაზრდობისთვის;
- ტრენინგმა “განახლებადი ენერჯის როლი კლიმატის ცვლილებისა და ჰაერის დაბინძურების პრობლემების გადაჭრაში” წარმატებით უზრუნველყო მონაწილეები ცოდნით. მათ მიიღეს ინფორმაცია განახლებადი ენერჯის როლის მნიშვნელობის შესახებ კლიმატის ცვლილებისა და ჰაერის დაბინძურების პრობლემების გადაჭრაში. აღნიშნული დასტურდება გამოკითხვის შედეგებით და მათი მხრიდან გაკეთებული შეფასებებით.
- პროექტში ჩართული ახალგაზრდების სრული უმრავლესობის რეკომენდაციაა, მსგავსი ტიპის ტრენინგ-კურსები ჩატარდეს საქართველოს სხვა რეგიონებსა და სკოლებში. ეს ხაზს უსვამს პროექტის აქტუალობას და მაღალ ინტერესს პროექტით გათვალისწინებული საკითხების მიმართ.
- პროექტის მდგრადობის თვალსაზრისით მნიშვნელოვანი შედეგია ერთ-ერთი სკოლის ინიციატივა, ენერგეტიკის სასწავლო ცენტრთან თანამშრომლობით შემუშავდეს კონკრეტული პროგრამები ენერგეტიკის საკითხებთან დაკავშირებით. აღნიშნული უფრო მეტად შეუწყობს ხელს ახალგაზრდებში ამ საკითხების შესახებ ცნობიერების ამაღლებას.
- მნიშვნელოვანი მოტივაციაა პროექტის გუნდისთვის, მოსწავლე-ახალგაზრდების, საგანმანათლებლო რესურსცენტრებისა და სკოლების ადმინისტრაციების მხრიდან განხორციელებული პოზიტიური უკუკავშირი, რაც გამოიხატა მათ მიერ საკითხის მიმართ დაინტერესებულობითა და შეფასებებით.

8.

შეფასება**ქალაქ ქუთაისის ქართულ-ამერიკული საერთაშორისო სკოლა პროგრესის****მე-10 კლასის მოსწავლე****ელენა სილაგაძე**

ვფიქრობ, ყველა ადამიანის მოვალეობაა, დაიცვას ის გარემო, რომელშიც ვცხოვრობთ. კლიმატის ცვლილება ჩვენი დროის ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური საკითხია, ეს ყველას გვეხება. ამიტომ, ჩემთვის საინტერესო იყო დავსწრებოდი ენერჯეტიკის სასწავლო ცენტრის მიერ ჩატარებულ ტრენინგ კურსს თემაზე: „განახლებადი ენერჯის როლი კლიმატის ცვლილებისა და ჰაერის დაბინძურების პრობლემის გადაჭრაში“. მსგავსი სახის პროექტები ხშირად უნდა განხორციელდეს მოსწავლეებისათვის და სტუდენტებისთვის, რათა გავაანალიზოთ დღევანდელი კლიმატური პრობლემები და ერთად ვიპოვოთ მათი გადაჭრის გზები.

მიუხედავად იმისა, რომ ამ საკითხებზე მანამდეც მქონდა ინფორმაცია, ტრენინგზე კიდევ უფრო მეტი რჩევა მივიღე იმის შესახებ, თუ როგორ შეიძლება შევანელოთ ჩვენი ქცევებით კლიმატური ცვლილებები და გლობალური დათბობა, ამ მნიშვნელოვან ინფორმაციას აუცილებლად გავუზიარებ სხვებსაც.

ტრენინგებმა დეტალურად და საინტერესოდ ისაუბრეს ზემოთ აღნიშნულ საკითხებზე. მოხარული ვარ, რომ მივიღე მონაწილეობა და დარწმუნებული ვარ, კიდევ ძალიან საინტერესო და საჭირო პროექტებს შემოგვთავაზებენ მომავალში.

ქალაქ ქუთაისის ქართულ-ამერიკული საერთაშორისო სკოლა პროგრესის**მე-10 კლასის მოსწავლე****ნიკოლოზ კუნჭულია**

ჩემი აზრით, ამ საკითხთან დაკავშირებით ცნობიერების ამაღლება აუცილებელია საზოგადოების ნებისმიერი წევრისათვის. ვფიქრობ, ამ მიმართულებით ცნობიერების ამაღლება გავლენას მოახდენს ადამიანების ქცევებზე, რაც გამოიწვევს კლიმატის ცვლილების და ჰაერის დაბინძურების შემცირებასა და განახლებადი ენერჯის პოლიტიკის მხარდაჭერას.

ტრენინგ-კურსის ტრენინგებმა საკმაოდ საინტერესოდ წარმოაჩინეს ეს საკითხები. მომავალშიც დიდი სიამოვნებით მივიღებ მონაწილეობას მსგავს პროექტებში.

ქალაქ ქუთაისის ქართულ-ამერიკული საერთაშორისო სკოლა პროგრესის ქსელის ბრენდის ავტორი, დამფუძნებელი და გენერალური დირექტორი ნინო ჩიკვაშვილი

ქართულ-ამერიკული საერთაშორისო სკოლა პროგრესის სახელით, მოხარული ვარ, რომ უკვე მეორე წელია, ვმასპინძლობთ ენერჯეტიკის სასწავლო ცენტრის მიერ ახალგაზრდებისათვის ორგანიზებულ ტრენინგებს. ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ასეთი მაღალი ხარისხის განათლების მიღების შესაძლებლობა მივცეთ როგორც პროგრესის, ასევე სხვა სკოლების მოსწავლეებს.

ამ თანამშრომლობის ფარგლებში, გაჩნდა იდეა, რომ სკოლა პროგრესმა, ენერჯეტიკის სასწავლო ცენტრთან თანამშრომლობით, კონკრეტული პროგრამები შეიმუშავოს და კიდევ უფრო მეტად შეუწყოს ხელი ახალგაზრდებში ამ საკითხების შესახებ ცნობიერების ამაღლებას.

ქალაქ ქუთაისის ქართულ-ამერიკული საერთაშორისო სკოლა პროგრესის ინოვაციური და არაფორმალური განათლების სამსახურის უფროსი მაკა კაჭკაჭიშვილი

მოსწავლეები პროექტში დიდი სიხარულით ჩაერთნენ, რადგან გასული წლის გამოცდილებით, სხვა მოსწავლეებისგან უკვე იცოდნენ ამ ტრენინგის სიკეთების შესახებ. პროექტის მონაწილეებმა მნიშვნელოვანი ინფორმაცია მიიღეს, თუ როგორ შეუძლიათ საკუთარი ქმედებებით იზრუნონ გარემოზე და შეაჩერონ კლიმატური ცვლილებები. აგრეთვე, მათთვის უფრო თვალსაჩინო გახდა ენერჯეტიკის, როგორც პროფესიის აქტუალობა, რაც მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ამ პროფესიის პოპულარიზაციას ახალგაზრდებში.

ქალაქ ქუთაისის ქართულ-ამერიკული საერთაშორისო სკოლა პროგრესის მე-10 კლასის მოსწავლე მარიამ ანდრიაძე

ტრენინგი ძალიან საინტერესო იყო. გავიგე უამრავი ფაქტის შესახებ, რომლებიც აქამდე არ ვიცოდი. განსაკუთრებით საინტერესო იყო ენერჯის სწორად და უსაფრთხოდ გამოყენების საკითხი.

პროცესის განმავლობაში, ვიმსჯელებთ ენერჯეტიკის სფეროში სხვადასხვა აქტუალური და მნიშვნელოვანი პრობლემის შესახებ. მიღებული ცოდნიდან გამომდინარე, კიდევ უფრო მეტად შევეცდები, ვიზრუნო გარემოზე, შევცვალო ჩემი ყოველდღიური ჩვევები კლიმატის სასარგებლოდ.

ქალაქ ქუთაისის მე-13 საჯარო სკოლის მე-11 კლასის მოსწავლე

მარიამ ხურცილავა

ტრენინგი ძალიან საინტერესო და თავისებურად სახალისოც იყო. უამრავი მნიშვნელოვანი ინფორმაცია მივიღე, რომელიც დარწმუნებული ვარ ცხოვრებაში გამომადგება. ბევრი ახალი რამ შევიტყვე, მაგალითად, თუ როგორ გამოვიყენო ენერჯია ისე, რომ გარემოსა და საკუთარ ფინანსებს ზიანი არ მივაყენო. ასევე მომეწონა ტრენინგის ჩატარების ფორმა. ტრენერები ამომწურავად და საინტერესოდ საუბრობდნენ. ჩემი აზრით, ასეთი საკითხები უნდა იყოს განხილვის თემა სხვა სკოლებშიც და ნამდვილად გავუწევდი რეკომენდაციას.

ქალაქ ქუთაისის მე-13 საჯარო სკოლის მე-11 კლასის მოსწავლე

საბა ფოჩხუა

ტრენინგმა ჩემს მოლოდინებს გადააჭარბა, სიღრმისეულად გავერკვიე ენერგოეფექტურობის როლზე ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში იმ ადამიანების დახმარებით, რომლებსაც მრავალწლიანი გამოცდილება აქვთ ამ დარგში. ასევე, რეკომენდაციას ვუწევ, რომ ასეთი ტიპის ლექციები ჩატარდეს საქართველოს მასშტაბით, რათა მოხდეს დღევანდელი ახალგაზრდების ინფორმირება კლიმატის ცვლილებასა და ენერგოეფექტურობაზე.

ქალაქ ქუთაისის მე-13 საჯარო სკოლის მე-8 კლასის მოსწავლე

მარიამ დიდბარიძე

მოსწავლეებმა საკმაოდ დიდი ინფორმაცია მივიღეთ ენერგოეფექტურობისა და ენერგეტიკის შესახებ. შემდეგშიც აუცილებლად ვისურვებდი მსგავს პროექტში მონაწილეობის მიღებას.

ქალაქ ქუთაისის მე-13 საჯარო სკოლის დირექტორი

ელისო ირემაძე

ტრენინგის პროცესში მოსწავლეების მოლოდინი გამართლდა, ვინაიდან იგი საინტერესო და საჭირო ინფორმაციებით იყო დატვირთული. თითოეული დღე სწორად და მოსწავლეთათვის გასაგებად იყო ორგანიზებული. მადლობა ტრენერებს და ორგანიზაციას ასეთი მრავალფეროვანი და საჭირო ტრენინგისთვის.

ქალაქ ზუგდიდის სოფელ ინგირის

პირველი საჯარო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლე

დავით ყალიჩავა

ჩატარებული ტრენინგით კმაყოფილი ვარ. ვემზადები მომავალი ეტაპისთვის. მადლობას გიხდით მოტივაციის ამაღლებისთვის, წახალისებისა და ურთიერთთანამშრომლობისთვის. წარმატებებს ვუსურვებ ჩვენს ტრენერებს და მონაწილე თანატოლებს.

ქალაქ ზუგდიდის მე-3 საჯარო სკოლის

მე-10 კლასის მოსწავლე

ნინია როგავა

ტრენინგი ძალიან საინტერესო იყო და ვფიქრობ, საჭიროა ამ პროექტის გაგრძელება, რათა მოხდეს უფრო მეტი ადამიანის ინფორმირება იმ საკითხებთან დაკავშირებით, რაც მნიშვნელოვანია განხილული პრობლემების აღმოსაფხვრელად.

ქალაქ ზუგდიდის მე-3 საჯარო სკოლის

მე-9 კლასის მოსწავლე

ხატია შედანია

ვთვლი, რომ მსგავსი პროექტები მთელი ქვეყნის მასშტაბით უნდა გახშირდეს და გავრცელდეს, რათა მოხდეს ცნობიერების ამაღლება იმ დონემდე, რომ შეცდომების რაოდენობა ყოველდღიურობაში შევამციროთ.

ქალაქ ზუგდიდის საგანმანათლებლო რესურსცენტრი

აღნიშნული პროექტი, პირველ რიგში, ხელს უწყობს მოსწავლე-ახალგაზრდობის ცნობიერების დონის ამაღლებას. ენერგეტიკაში, როგორც ქვეყნის ეკონომიკის მამოძრავებელ ერთ-ერთ წამყვან დარგში, მნიშვნელოვანია სკოლის მოსწავლეების ჩართვა და მათი ინფორმირება ამ დარგის საკითხებთან დაკავშირებით. აღნიშნულმა პროექტმა შესაძლოა პროექტში მონაწილე მოსწავლეებს შეუქმნას ისეთი განწყობა, როგორცაა ენერგეტიკის დარგის პროფესიის არჩევაში წვლილის შეტანა.

მადლობა აღნიშნული პროექტის ორგანიზატორებს, მადლობა ყველა მონაწილეს, ვინაიდან აღნიშნული ძალიან მნიშვნელოვანი პროექტია, რომელიც ორიენტირებულია მოსწავლეების განვითარებაზე.

ქალაქ ზუგდიდის მე-3 საჯარო სკოლის დირექტორის მ/შ

ლევან ღურჭავია

გაეროს ბავშვთა ფონდის მხარდაჭერით, განხორციელებული პროექტი ძალიან მნიშვნელოვანი ინიციატივაა. აღნიშნული პროექტი ღირებულია იმ თვალსაზრისით, რომ მოსწავლეს დაეხმარება გზა გაიკვალოს ენერგეტიკის სფეროში პროფესიის არჩევის შემთხვევაში. ვფიქრობ, რომ მსგავსი აქტივობები უნდა იყოს პერმანენტული ხასიათის. მადლობა აღნიშნული პროექტის ორგანიზატორებს.

ქალაქ ზუგდიდის სოფელ ინგირის პირველი საჯარო სკოლის დირექტორი

იზოლდა ყალიჩავა

ტრენინგის პროცესში მოსწავლეების მოლოდინი გამართლდა, ვინაიდან იგი საინტერესო და მათთვის მნიშვნელოვანი აღმოჩნდა. მოსწავლეები აქტიურად იყვნენ ჩართული ტრენინგში, რომელიც სწორედ რომ დროული და საჭირო იყო. ტრენინგის გაგრძელება აუცილებელია. ველოდებით მომავალ შეხვედრას. გისურვებთ წარმატებებს.

ქალაქ ოზურგეთის

პირველი საჯარო სკოლის მე-8 ა კლასის მოსწავლე

მარიტინა გუბელიძე

ტრენინგი ძალიან მომეწონა, რადგან აქტიური სწავლების მეთოდებით მიმდინარეობდა, რომელიც მიმართულია ჩვენი უნარების განვითარებაზე. ასევე ორიენტირებული იყო ადამიანის ცხოვრებისეული ღირებულებების გამოვლენაზე. მივიღე ბევრი ახალი ინფორმაცია, ამ ცოდნას გამოვიყენებ პრაქტიკაში. ვისურვებდი, რომ მსგავსი ტრენინგები უფრო მეტი ინტენსივობით ჩატარდეს.

ქალაქ ოზურგეთის

წმინდა გაბრიელ ეპისკოპოსის სახელობის

სოფელ ბახვის საჯარო სკოლის მე-11 კლასის მოსწავლე

თაბო ჟღერია

ჩემი აზრით, ამ საკითხთან დაკავშირებით ცნობიერების ამაღლება აუცილებელია საზოგადოების ნებისმიერი წევრისათვის. ვფიქრობ, ამ მიმართულებით მეტი ინფორმაციის მიღება აისახება ადამიანების ქცევებზე, რაც გამოიწვევს კლიმატის ცვლილებისა და ჰაერის დაბინძურების შემცირებას და ასევე განახლებადი ენერჯის პოლიტიკის მხარდაჭერას.

ტრენინგებმა საკმაოდ საინტერესოდ წარმოაჩინეს ეს საკითხები. მომავალშიც დიდი სიამოვნებით მივიღებ მონაწილეობას მსგავს პროექტებში.

ქალაქ ოზურგეთის საგანმანათლებლო რესურსცენტრი

კლიმატის ცვლილების დაძლევა მდგრადი განვითარების ერთ-ერთი მიზანია. სწორედ ამიტომ, ძალზედ დროული და საჭირო იყო ენერჯეტიკის სასწავლო ცენტრის მიერ, წმინდა გაბრიელ ეპისკოპოსის სახელობის ქალაქ ოზურგეთის სოფელი ბახვის და N1 საჯარო სკოლაში ტრენინგები.

ტრენინგი მოსწავლეებისათვის ინტერაქციული ხასიათის იყო, მათ საინტერესო და მნიშვნელოვანი ინფორმაცია მიიღეს, მიეცათ საკუთრი თვალსაზრისის ჩამოყალიბების და ცნობიერების ამაღლების საშუალება.

ქალაქ ოზურგეთის პირველი საჯარო სკოლის დირექტორი

მანია თავართქილაძე

ქალაქ ოზურგეთის N1 საჯარო სკოლაში ჩატარებულ ტრენინგში მოსწავლეები აქტიურად იყვნენ ჩართული. ტრენინგებმა მოსწავლეთათვის გასაგებად და საინტერესოდ ისაუბრეს მოსწავლეებს სამომავლოდ მსგავს ტრენინგებში მონაწილეობის სურვილიც გაუჩნდათ.

ქალაქ ოზურგეთის წმინდა გაბრიელ ეპისკოპოსის სახელობის

სოფელ ბახვის საჯარო სკოლის დირექტორის მ/შ

მანია ვაშალომიძე

ტრენინგი მაღალ დონეზე იყო ორგანიზებული და საინტერესოდ წარმართული. მოსწავლეებმა მიიღეს მათთვის საინტერესო ინფორმაცია. ტრენინგები მოსწავლეების ყველა კითხვას ამომწურავად პასუხობდნენ. საინტერესოდ წარმართულმა ტრენინგებმა მოსწავლეებს გაუჩინა სურვილი, რომ მსგავს აქტივობაში კვლავაც სიამოვნებით ჩაერთონ. ვფიქრობ, თემატიკა, რომელსაც ტრენინგი მიეძღვნა საჭირო და აუცილებელი იყო მოსწავლე-ახალგაზრდებისთვის.

ქალაქ ოზურგეთის

წმინდა გაბრიელ ეპისკოპოსის სახელობის

სოფელ ბახვის საჯარო სკოლის მე-8 კლასის მოსწავლე

დემეტრე ანთაძე

ტრენინგებმა ბევრი ისეთი საკითხის შესახებ მომაწოდეს ინფორმაცია, რაც არ ვიცოდი და ინტერესი გამიჩნდა. ახლა კი ვფიქრობ, რომ ენერგეტიკა ძალიან საინტერესო პროფესიაა, მომავლის განვითარებაზე ორიენტირებული და ქვეყნისათვის სასიცოცხლოდ აუცილებელი. ვვარაუდობ, რომ ენერგეტიკის ფაკულტეტზე გავაგრძელებ სწავლას. მაძლობა ტრენინგის ორგანიზატორებს.

1. IMPORTANCE AND RESULT OF THE PROJECT

The project “Role of Renewable Energy in Tackling the Problems of Climate Change and Air Pollution” (hereinafter- the project) is an example of a progressive and successful educational initiative for adolescents living in the regions.

Approximately 500 students from 38 different public and private schools of Samegrelo- Zemo Svaneti, Imereti and Guria regions were involved in the activities, trainings and public lectures provided by the project, which indicates the high level of interest and the broadscope of the project.

The joint initiative of the Energy Training Center and UNICEF played an important role in raising the awareness of youth, especially to reduce the impact of climate change and air pollution.

The project activities contributed to the formation of the adolescents’ vision that the transition to renewable energy is not only the answer to the global energy demand, but also a crucial strategy to reduce emissions adding to climate change and air pollution.

The Energy Training Center considers that the project successfully engaged and activated youth in the regions. Implementation of similar initiatives for children and adolescents in other regions of Georgia will ensure sustainability of the project and create a spreading effect that will involve many more young people in mitigating the consequences of climate change and air pollution.

2. ABOUT THE ENERGY TRAINING CENTER

Energy Training Center was established on February 4, 2022. The founder of the Energy Training Center is the Georgian National Energy and Water Supply Regulatory Commission.

The goal of the Energy Training Center is to raise public awareness on topics related to the electricity, natural gas, water supply and amelioration sectors, implement subject-specific training courses/programs for professional development and qualification enhancement, increase involvement of women in the energy sector, conduct educational projects for school students and more. The Energy Training Center is focused on achieving effective results by implementing various projects in the fields of energy and water supply.

3. ABOUT UNICEF

UNICEF has been working in the world’s most difficult regions for more than 70 years to help the world’s most vulnerable children. In more than 190 countries and territories, UNICEF works for every child everywhere to build a better world for all. For more than 30 years, UNICEF has been helping the Government of Georgia to protect children’s rights and fulfill its obligations under the Convention on the Rights of the Child. UNICEF’s goal is to help the most vulnerable children, promote their empowerment and social inclusion, and reduce inequalities that negatively affect children and their families.

4. ABOUT PROJECT

With the support of UNICEF, Energy Training Center implemented the project in three regions of Georgia: Samegrelo – Zemo Svaneti, Imereti and Guria regions.

The goal of the project was:

- Raising awareness of youth in selected schools in the municipalities of Samegrelo – Zemo Svaneti, Guria and Imereti regions about the role of renewable energies in tackling the problems of climate change and air pollution;
- Stimulating the interest of youth in the target municipalities regarding the mentioned issues, establishing care for the country’s renewable resources and climate, facilitating establishment of sustainable mechanisms, increasing and strengthening the involvement of youth in decision-making processes related to the future and well-being.

As a result of the initiative, about 500 young people from 38 different schools received information on the importance of renewable energy in tackling the problems of climate change and air pollution.

5. INFORMATION MEETINGS AND TRAINING METHODOLOGY IMPLEMENTED WITHIN THE PROJECT

At the initial stage of the project, information meetings were held in the target regions. The participants of the meetings were provided with information about the goals, objectives and planned events of the project, as well as about the Energy Training Center and UNICEF.

At the same time, the purpose of the mentioned meetings was to secure support and partnership in the activities envisaged by the Energy Training Center, including organizing the planned trainings, mobilizing participants of the training and solving other technical issues. Directors of educational resource centers and schools participated in the meetings.

At the next stage of the project, the project team, in accordance with the methodology, has developed a training course module and a detailed training schedule. For each module, the topics and issues were defined on which trainings would be conducted in the target regions.

The training methodology was based on the following basic principles:

- Experience of trainers;
- High quality, practicality and usability of training materials;
- Interactivity of the process;
- Effective time management.

The training aimed to provide participants with essential knowledge, experience and approaches and to enhance their qualifications and skills. During the training, emphasis was placed on raising trainees’ awareness and ensuring the practical application of the knowledge acquired.

Various methodologies and tools were used in the training, including presentations, group and individual assignments and work, case discussions, practical examples, topic-relevant questions and discussions, role-playing, facilitation and feedback.

The following issues were considered in the training course module:

- **Time period:** Time was provided for each module;
- **Training topics and activities:** Each module covered specific topics and activities;
- **Methodology:** The relevant methodologies and tools for each module were determined;
- **Assignments:** Each module comprised exercises/tasks to be performed during the training;
- **Instructions:** During the training, including the task component, the participants were given oral and written instructions by the trainers;
- **Training course:** Maximum interactivity of the process was ensured for each module;
- **Training materials:** Electronic versions of training course materials were sent to the participants via e-mail.

After the completion of the training course, bilingual certificates were given to the young participants.

The total duration of trainings and public lectures amounted to 72 hours.

The following issues were discussed during the training sessions: climate change and its causes, means of reducing greenhouse gases, the role of fossil fuel power plants in air pollution, the impact of renewable energy sources on the environment, environmental safety during electricity transmission, the impact of electricity consumers on the environment, the role of energy efficiency in reducing emissions, global climate change mitigation practices, energy security, renewable energy and environmental protection, and the role of globalization in energy security.


6.

THE SURVEY RESULTS ON PARTICIPANTS' SATISFACTION WITH THE TRAINING COURSE AND THEIR EVALUATION OF THE TRAINING PROCESS.


In order to evaluate the level of satisfaction with the training course and the training process, a survey was carried out using a quantitative method. Students aged 14 to 17 from Zugdidi, Kutaisi and Ozurgeti participated in the quantitative research.

The main method of the quantitative research was a survey, utilizing a standardized questionnaire as the main tool. An online survey tool Google Forms was used to collect quantitative data. For some questions, the respondents had the opportunity to make an assessment using a 5-point scale, where 1 means the lowest assessment, and 5- the highest.


In total, about 140 respondents took part in the survey. In terms of gender, the respondents participating in the research were distributed as follows: 57%- girls and 43%- boys. Out of the surveyed students, 93% are public school students and 7% are private school students. The respondents' participation in the survey, categorized by their place of residence is illustrated in the below diagram:




According to the results, 98% of the respondents expressed high satisfaction **when asked how satisfied the respondents are with the conducted training course**. This indicator shows the high efficiency of the activities carried out within the project:




For the majority of respondents, in particular 90%, the issues discussed at the trainings are new, which proves that the topics selected for the training course were relevant for the trainees:



When asked how well the trainings were organized, 96% of the respondents expressed high satisfaction, which is shown in the given diagram:



Most of the respondents, in particular, 97% give the highest evaluation to the trainers' qualifications, which shows the correct selection of the team of highly qualified trainers:



The absolute majority of the participants in the survey gave a high evaluation to the organization of the training course. This indicates effective planning of project activities and well organized implementation of the process on the part of the Energy Training Center team. All respondents recommend conducting the mentioned training course in other regions and schools of Georgia, which emphasizes the relevance of the project:



7.

MAIN CONCLUSIONS

- The high rate of satisfaction of the respondents indicates the effectiveness of the activities implemented within the project. This shows the timeliness and relevance of the project;
- An important result of the project is to facilitate the formation of the vision of adolescents that the transition to renewable energy is not only an answer to the global energy demand, but also a crucial strategy to reduce the negative consequences of climate change and air pollution.
- It is clear from the evaluations of the project, that the initiative implemented by the joint initiative of the Energy Training Center and the United Nations Children’s Fund played a pivotal role in raising the awareness of youth. On the part of the respondents, the events and activities implemented within the project were evaluated as an important and necessary initiative for youth;
- The training on “The Role of Renewable Energy in Addressing Climate Change and Air Pollution” effectively equipped participants with knowledge about the significance of renewable energy in combating these issues. This is supported by the survey results and participant evaluations.
- The absolute majority of young people involved in the project recommend that similar training courses be held in other regions and schools of Georgia. This emphasizes the relevance of the project and high interest in the issues covered by the project.
- In terms of the sustainability of the project, an important result is the initiative of one of the schools to develop specific programs related to energy issues in cooperation with the Energy Training Center. This will contribute more to raising awareness among young people about these issues.
- An important motivation for the project team is the positive feedback from youths, educational resource centers and school administrations, which was expressed by their interest in the issue and evaluations.

8. EVALUATIONS

Georgian-American International School Progress in Kutaisi

10th grade student

Elena Silagadze

I think it is the duty of all people to protect the environment in which we live. Climate change is one of the most pressing issues of our time, it concerns us all. Therefore, it was interesting for me to attend the training course conducted by the Energy Training Center on the topic: “The Role of Renewable Energy in Tackling the Problem of Climate Change and Air Pollution”. Projects of this kind should be often implemented for school children and students for them to properly analyze today’s climate problems and jointly find ways to tackle them.

Although I already had information on these issues, I received even more advice from the trainers on how our behaviors can slow down climate change and global warming, and I will definitely share this important information with others.

The trainers spoke in detail and interestingly about the above mentioned issues. I am glad that I took part and I am sure that more interesting and necessary projects will be offered to us in the future.

Georgian-American International School Progress in Kutaisi

10th grade student

Nikoloz Kuntchulia

In my opinion, knowledge of this topic is necessary for any member of the society. I believe that raising awareness in this direction will influence people’s behaviors, which will lead to reduction of climate change and air pollution and support renewable energy policies.

The trainers of the training course presented these issues quite interestingly. I will be happy to participate in similar projects in the future as well.

Brand author, Founder and General Director of

Georgian-American International School Progress network

Nino Chikvashvili

On behalf of the Georgian-American International School Progress, I am glad that it is already second year, we are hosting trainings for young people organized by the Energy Training Center. It is very important for us to give the opportunity to receive such high quality education to the students of Progress and other schools.

Within the framework of this cooperation, the idea emerged that School Progress, in cooperation with the Energy Training Center, should develop specific programs and further contribute to raising awareness among young people about these issues.

Head of Innovative and Non-Formal Education Department of

Georgian-American International School Progress

Maka Kachkachishvili

The students participated in the project with great joy, because they already knew about the benefits of this training from other students from last year’s experience. Project participants have received important information on how they can take care of the environment and stop climate change by their own actions. Also, the relevance of energy as a profession has become more apparent to them, which will significantly contribute to the popularization of this profession among young people.

Georgian-American International School Progress in Kutaisi

10th grade student

Mariam Andriadze

The training was very interesting. I learned a lot of facts that I didn’t know before. The issue of correct and safe use of energy was particularly interesting.

During the process, we discussed various important problems in the field of energy. Based on the knowledge gained, I will try even harder to take care of the environment, to change my daily habits in favor of the climate.

Kutaisi public school N13

11th grade student

Mariam Khurtsilava

The training was very interesting and fascinating in its own way. I received a lot of important information, which I am sure will be useful in life. I learned a lot of new things, like how to use energy without harming the environment and my finances. I also liked the format in which the training was conducted. The trainers spoke comprehensively and interestingly. In my opinion, such issues should be discussed in other schools as well, and I would definitely recommend it.

Kutaisi public school N13

11th grade student

Saba Pochkhua

The training exceeded my expectations, I gained a deep understanding of the role of energy efficiency in our daily life with the help of people who have many years of experience in this field. Also, I recommend that such type of lectures be held throughout Georgia to inform youth about climate change and energy efficiency.

Kutaisi public school N13

8th grade student

Mariam Didbaridze

The students got quite a lot of information about energy efficiency and energy. I would definitely like to participate in a similar project in the future.

Director of Kutaisi public school N13

Eliso Iremadze

Throughout the training, students’ expectations were met as the sessions were rich with engaging and essential information. Each day was well-organized and presented in a way that was easy for students to understand. We extend our gratitude to the trainers and organizers for delivering such a comprehensive and valuable training experience.

Public school N1 of village Ingiri, Zugdidi

10th grade student

Davit kalichava

I am satisfied with the conducted training. I am now preparing for the next stage. Thank you for motivation, encouragement and mutual cooperation. I wish success to our trainers and participating peers.

Zugdidi public school N3

10th grade student

Ninia Rogava

The training was very interesting and I think it is necessary to continue this project in order to inform more people about the issues that are important to eliminate the discussed problems.

Zugdidi public school N3

9th grade student

Khatia Shedania

I think, that similar projects should be conducted frequently and widespread throughout the country to raise awareness to the point where we can reduce the number of mistakes in our daily life.

Zugdidi educational resource center

The mentioned project, first of all, contributes to raising awareness of youth. In energy sector, as one of the leading sectors driving the country's economy, it is important to involve school students and inform them about the issues of this sector. The mentioned project also encourages the students participating in the project to choose a profession in the field of energy.

Thanks to the organizers of the mentioned project, thanks to all the participants, because it is a very important project, which is focused on the development of students.

Acting Director of Zugdidi public school N3**Levan Ghurtskaia**

The implemented project supported by UNICEF is a very important initiative. The mentioned project is valuable from the point of view that it will guide students in case of choosing a profession in the field of energy. I think that such activities should be continuous. Thanks to the organizers of this project.

Director of N1 public school of village Ingiri, Zugdidi**Izolda Kalichava**

During the training process, the expectations of the students were met, as it turned out to be interesting and important for them. The students were actively involved in the training, which was timely and necessary. It is necessary to continue training. We are looking forward to a next meeting. I wish you success.

Ozurgeti public school N1**8th grade student****Maritina Gubelidze**

I liked the training very much, because it was conducted with interactive learning methods aimed at developing our skills. It also focused on revealing human life values. I received a lot of new information that can be applied to practice. I would like such trainings to be held more frequently.

St. Gabriel Bishop public school of village Bakhvi, Ozurgeti**11th grade student****Tazo Zhgheria**

In my opinion, awareness raising related to this issue is necessary for any member of the society. I think that getting more information in this direction will affect people's behavior, which will lead to the reduction of climate change and air pollution, as well as support for renewable energy policies.

The trainers addressed these topics in a highly engaging manner. I would be delighted to participate in similar projects in the future.

Ozurgeti educational resource center

Tackling climate change is one of the goals of sustainable development. That is why it was very timely and necessary to conduct trainings in St. Gabriel Bishop public school of village Bakhvi and N1 public school of Ozurgeti, by the Energy Training Center.

The training was interactive for the students, they received interesting and important information, were given the opportunity to form their own point of view and raise awareness.

Director of Ozurgeti Public school N1

Maia Tavartkiladze

Students were actively involved in the training conducted at Ozurgeti public school N1. The trainers spoke in an interesting and understandable way for the students and the students expressed wish to participate in similar trainings in future.

Acting Director of St. Gabriel Bishop public school of village Bakhvi, Ozurgeti

Mzia Vashalomidze

The training was organized at a high level and conducted in an engaging way. Students received interesting information. The trainers thoroughly answered all the students’ questions. The interestingly conducted trainings made the students eager to participate in such activities with enthusiasm. I think the topic of the training was essential for youth.

St. Gabriel Bishop public school of village Bakhvi, Ozurgeti

8th grade student

Demetre Antadze

The trainers provided information on many issues I did not know about, so I became interested. Now I think that energy engineering is a very interesting profession – future-oriented and vital for the country. I assume that I will continue my studies at the Faculty of Energy. Thanks to the organizers of the training.



გამომცემლობა „უნივერსალი“

თბილისი, 0186, ა. პოლიტეკოსკეას 4, ☎: 5(99)33 52 02; 5(99) 17 22 30

E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com

ISBN 978-9941-33-817-5

ISBN 978-9941-33-888-5



9 789941 338885